საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030141355163120

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/7312 **30 / ივნისი / 2020 წ.**

შპს ლჯ და კო - ტუბერკულიოზისა და ინფექციურ
პათოლოგიათა ცენტრის დირექტოს
ბატონ ზაზა ლომინაძეს

ასლი: სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნულ
სააგენტოს"

ბატონო ზაზა,

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განილილა შპს „ლჯ და კო-ტუბერკულოზისა და ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრის წერილი (რეგისტრაციის N37432), რომელიც შეეხება 2016 წლის 7 აპრილს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ (შემდგომში-გამყიდველი), საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა (შემდგომში-სამინისტრო) და შპს „ლჯ და კო - ტუბერკულოზისა და ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრს“ (შემდგომში-მყიდველი) შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად გადაცემულ ქონებაზე ხელშეკრულების 3.1.3 და 3.1.4 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დადასტურებას.

აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში, 3.1.3 და 3.1.4 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ ინფორმაცია უკვე მოგეწოდათ 2018 წლის 4 ივლისის N01/38590 წერილით, ვალდებულების დასაწყისიდან 2018 წლის 4 ივლისის ჩათვლით პერიოდისთვის. ამჟამად წარმოგიდგენთ 3.1.3 და 3.1.4 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებებისშესრულების შესახებ ინფორმაციას 2018 წლის 5 ივლისიდან 2020 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს“ მიერ მოწოდებული ინფორმაციით, შპს ,,ლჯ და კომპანია-დასავლეთ საქართველოს ტუბერკულოზისა და ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრი“ (ს/კ 212691354 ფაქტიური მისამართი: ქ. ქუთაისი ჩხობაძის ქ. N20; ძველი სახელწოდება: შპს ,,დასავლეთ საქართველოს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ცენტრი ს/კ 212691354) ფლობს სტაციონარული დაწესებულების ნებართვას (გაცემული 2011 წლის 16 მარტს) და ნებართვის დანართებს: 1) რადიოლოგიური საქმიანობა-რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა; 2) ფთიზიატრია (გაცემის თარიღი: 24.02.2017წ - დაწესებულების ახალი სახელწოდების გათვალისწინებით); 3) ინფექციური დაავადებების მკურნალობა; 4) რეანიმაცია; 5) ლაბორატორიული საქმიანობა-კლინიკური დიაგნოსტიკა; 6) ლაბორატორიული საქმიანობა-ბიოქიმიური დიაგნოსტიკა; 7) ლაბორატორიული საქმიანობა-იმუნოლოგიური და სეროლოგიური დიაგნოსტიკა; 8) ლაბორატორიული საქმიანობა-მიკრობიოლოგიური დიაგნოსტიკა; 9) ლაბორატორიული საქმიანობა-მოლეკულური დიაგნოსტიკა (გაცემის თარიღი:05.10.2017წ); 10) გადაუდებელი სამედიცინო დახმარება -EMERGENCY (გაცემის თარიღი: 26.12.2017წ).

"ამბულატორიულად/დღის სტაციონარის პირობებში განსახორციელებელი მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის მომსახურების შეტყობინების რეესტრის“ მიხედვით, შპს ,,ლჯ და კო - ტუბერკულოზისა და ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრი“ (ფაქტიურ მისამართზე - ქუთაისი, ჩხობაძის ქ. N20. ს/კ 421271634) დარეგისტრირებულია, როგორც ამბულატორიულად/დღის სტაციონარის პირობებში, მაღალი რისკის შემცველი საქმიანობების მიმწოდებელი; დაწესებულების მიერ, 2016 წლის 18 ნოემბერს წარმოდგენილია შეტყობინება საქმიანობებზე: 1.დერმატო-ვენეროლოგია (მ.შ.დერმატოკოსმეტოლოგია); 2.ინფექციურ დაავადებებთან (მათ შორის, აივ ინფექცია/შიდსთან) დაკავშირებული საქმიანობა;

3.ფთიზიატრია. 2017 წლის 25 იანვარს წარმოდგენილია შეტყობინება საქმიანობებზე: ლაბორატორიული საქმიანობა - კლინიკური დიაგნოსტიკა; ლაბორატორიული საქმიანობა - ბიოქიმიური დიაგნოსტიკა; ლაბორატორიული საქმიანობა - მოლეკულური დიაგნოსტიკა.

სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ ინფორმაციებით, შპს ლჯ და კომპანია - დასავლეთ საქართველოს ტუბერკულოზისა და ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრი (ს/კ 212691354) 2018 წლის 5 ივლისიდან 2020 წლის 30 ივნისის ჩათვლით მონაწილეობდა შემდეგ სახელმწიფო პროგრამებში: აივ-ინფექცია/შიდსის მართვა (11.10.2017-დან დღემდე); ტუბერკულოზის მართვა (11.10.2017-დან დღემდე); თავდაცვის ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება, კომპონენტი სამხედრო ძალებში გასაწვევ პირთა დამატებითი გამოკვლევა (2017-დან დღემდე); რეფერალური მომსახურება (2017-დან დღემდე); C ჰეპატიტის მართვა (2018-2020); ახალი კორონავირუსულიმდაავადების COVID 19-ის მართვა (18.04.2020-დღემდე); საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, კომპონენტები - გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება, გეგმიური ამბულატორიული მომსახურება, გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება და ინფექციური დაავადებების მართვა (2013 წლიდან დღემდე). ასევე, კცენტრს წარმოდგენილი აქვს შესრულებული სამუშაოს შესაბამისი საანგარიშგებო დოკუმენტაცია სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრირების წესით განსაზღვრულ ვადებში.

ზემოაღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე, ცენტრის მიერ 2018 წლის 5 ივლისიდან 2020 წლის 30 ივნისის ჩათვლით, ხელშეკრულების 3.1.3 და 3.1.4 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების უწყვეტად შესრულების დადასტურებასთან მიმართებით წინააღმდეგობრივი პოზიცია არ გაგვაჩნია. რაც შეეხება ხელშეკრულების 3.1.1 და 3.1.2 მუხლებით ნაკისრ ვალდებულებებს, აღნიშნულთან დაკავშირებით გეცნობათ სამინისტროს 2020 წლის 22 იანვრის N01/749 წერილით.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი წოწკოლაური